სადოქტორო პროგრამა

ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება

(ინტერდისციპლინური)

1. **პროგრამის დასახელება**: ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი**: **ფსიქოლოგიის დოქტორი**

PhD in Psychology

3. **სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები**: ნოდარ ბელქანია, ფსიქოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი; პროფ. დოქტორი ფრიდრიხ გლაზლი (ზალცბურგი, ავსტრია).

4. **სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**: სადოქტორო პროგრამის შექმნას წინ უსწრებდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საერთაშორისო ინტერდისციპლინარული პროგრამის, ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების ფუნქციონირება, რომელმაც მოამზადა ბაზა წინამდებარე პროგრამის შესაქმნელად.

პროგრამის აქტუალობა: სოციალისტური სისტემის რღვევის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება. დღითი დღე იზრდება ორგანიზაციათა რიცხვი, რომელთაც ზრდისა და განვითარების გზაზე უამრავი პრობლემა ექმნებათ, მათთან გამკლავების გამოცდილება კი დაგროვილი არ არის, ამიტომ საქართველოშიც აუცილებელი ხდება ორგანიზაციის განვითარების კონსულტანტების მომზადება, რომლებიც მოახდენენ ორგანიზაციის პრობლემების იდენტიფიკაციას და დასავლურ გამოცდილებაზე დაყრდნობით და მათ ქართულ რეალობაზე მორგებით მათზე მუშაობისა და მათი გადაჭრის უნარებს გამოუმუშავებენ ორგანიზაციის თანამშრომლებს და ხელმძღვანელებს. ორგანიზაციის კონსულტანტის კომპეტენციები ვრცელდება დღევანდელ ქართულ ორგანიზაციებში არსებულ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა სწორი სტრატეგიის ჩამოყალიბება, კონკურენტულ გარემოში თავის დამკვიდრება, სიახლეებისადმი ღიაობის გაზრდა და ცვალებად გარემოში ადექვატური ორიენტირების უნარის განვითარება, გუნდური მუშაობა, შიდა

კონფლიქტების მოგვარება, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი გეგმების დასახვა, პროექტების შემუშავება და განხორციელება, ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, პერსონალის განვითარება. კონსულტანტებს ასევე შეეძლებათ ინდივიდუალური საკონსულტაციო საუბრების ჩატარება (coaching) და ორგანიზაციებში სიახლეების ინიცირება.

სადოქტორო პროგრამის მიზანი: ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების დანერგვა საქართველოში, არსებული ცოდნის გაღრმავება და ახალი დამატებითი გამოცდილების დაგროვება, სპეციალისტების მომზადება, რომლებიც მოახდენენ სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებში, დოქტორანტების მაღალი რანგის მეცნიერებად მკვლევარებად პრაქტიკოსებად და ჩამოყალიბება.

პროგრამის შედეგი: სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

ა) **ცოდნა და გაცნობიერება** - დარგთაშორისი სფეროს - ორგანიზაციის განვითარების

უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა და მისი ეკონომიკური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტების გააზრება-გაცნობიერება. ორგანიზაციათა სტრუქტურის და დინამიკის და ორგანიზაციებში ადამიანური ფაქტორის და მისი როლის გაცნობიერება; ორგანიზაციის ელემენტებზე დაკვირვება და ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ანალიზი. რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება; სადოქტორო თემის ირგვლივ ინტეგრაციული ცოდნის მოპოვება და გენერირება.

ბ) **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - ინოვაციური კვლევის

დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება

ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც

ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო

რეფერირებად პუბლიკაციებში;

- ორგანიზაციის განვითარების სფეროში დამოუკიდებელი სამუშაოების ჩატარება;
- კურიკულუმების შედგენა, სასწავლო პროცესის წარმართვა და სწავლება;
- არსებული ცოდნის გაფართოება და ახალი საკონსულტაციო მეთოდების შექმნა;
- სადოქტორო თემის ირგვლივ ინტეგრაციული ცოდნის მოპოვება და გენერირება.
- სიტუაციის დამოუკიდებლად გაანალიზება, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემის გადაჭრა
- ორგანიზაციის განვითარებისათვის აუცილებელი ინოვაციის ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების დანერგვა საქართველოში

გ) **დასკვნის უნარი** - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

დ) კომუნიკაციის უნარი - ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

ე) სწავლის უნარი - უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და პროფესიული

საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;

ვ) ღირებულებები - ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა; სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის ინტერპერსონალური კომპეტენციების ფლობა;

სავარაუდო საკვლევი თემატიკა:

- ორგანიზაციის განვითარების ფაზები;
- ორგანიზაციაში კვლევის დაგეგმვა და ჩატარება;
- მმართველობის სტილები ორგანიზაციაში;
- ჯგუფური დინამიკა ორგანიზაციაში;
- კონფლიქტები ორგანიზაციაში;
- პერსონალის როლი ორგანიზაციაში;
- ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა ორგანიზაციისათვის;
- პროექტის მენეჯმენტი.

დასაქმების შესაძლო სფეროები:

- უმაღლესი სასწავლებლები;
- კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან განვითარებაზე;
- საკონსულტაციო სააგენტოები და ფირმები.

5. **სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:** პროგრამაზე მიიღებიან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც ფლობენ ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, რუსული) B2 დონეზე.

მსურველთა ასაკი შემოისაზღვრება საერთო-საუნივერსიტეტო სტანდარტების შესაბამისად.

6. *სასწავლო კომპონენტი:*

იგეგმება და ხორციელდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და ფაკულტეტის სადისერტაციო დებულების შესაბამისად. სასწავლო კომპონენტების დარგობრივი და შინაარსობრივი შერჩევა მოხდება პროგრამის ფარგლებში მოსამზადებელი დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე ფაკულტეტის სადისერტაციო დებულების შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის დეტალური სტრუქტურა

აუცილებელი კომპონენტები:

- დისერტაციის ანუ სამეცნიერო ნაშრომის შესრულება (120-140 კრედიტი);
- სწავლების მეთოდები (5-15 კრედიტი);
- აკადემიური წერა (სავალდებულოა მათთვის, ვისაც აკადემიური წერა ან/და კვლევის მეთოდები წინა საფუხურებზე არ გაუვლია (5-15 კრედიტი);
- მინიმუმ 1 სემინარი (20-30 კრედიტი);
- პროფესორის ასისტენტობა (5-30 კრედიტი);
- მინიმუმ 2 კოლოქვიუმი (20 კრედიტი თითოეულისთვის);
- სხვა არჩევითი სალექციო კურსები და/ან აქტივობები.

დოქტორანტმა უნდა შეასრულოს 180 კრედიტი.

სწავლების ფორმატი: სალექციო კურსი, სემინარი, კვლევა, კონფერენცია, პრეზენტაცია.

7. **სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რესურს-ცენტრები და ბიბლიოთეკები.

8. **შესაძლებელია 5 დოქტორანტის მიღება.**

9. **პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები**: ნოდარ ბელქანია, რევაზ ჯორბენაძე, ფრიდრიხ გლაზლი, ცირილ ჰერინგი, ჰანეს პიბერი.